



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
სამედიცინო ფიზიკა, სამაგისტრო

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 7 მარტი, 2019 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამედიცინო ფიზიკა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	ფიზიკის მაგისტრი გამოყენებითი ფიზიკის სპეციალიზაციით (050211)
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული, 10.02.2014, #33

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რევაზ შანიძე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია მანწკავა ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ბილანიშვილი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

„სამედიცინო ფიზიკა“ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამას წარმოადგენს. პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, მოიცავს 120 ECTS კრედიტს და გათვლილია 4 სემესტრზე (2 წელი). სამედიცინო ფიზიკის პროგრამა შედგება სასწავლო (75 ECTS) და კვლევითი (45 ECTS) კომპონენტებისგან.
- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2019 წლის 7 მარტს შედგა. უნივერსიტეტმა, კემოდ კი ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტმა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს კარგი სამუშაო პირობები შეუქმნა. ჯგუფი უზრუნველყოფილი იყო კომპიუტერული ტექნიკით და ინტერნეტით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმის გათვალისწინებით, რომ „სამედიცინო ფიზიკის“ პროგრამის ხელმძღვანელთან განხორციელდა სკაიპით ჩართვა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ვიზიტით პროგრამით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, გასაუბრება და სხვა აქტივობები ზუსტად გამოყოფილ დროში და წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით ჩატარდა. აკრედიტაციის ექსპერტის ჯგუფის წევრმა გასაუბრების დროს დამაკმაყოფილი პასუხები მიიღეს დასმულ შეკითხვებზე. ჯგუფის წევრებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები, რომლებიც „სამედიცინო ფიზიკის“ პროგრამაში გამოიყენება.
- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის „სამედიცინო ფიზიკა“ მიზნები, სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის შეფასების ადექვატურობა, სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა, სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა და სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები შესაბამისობაშია აკრედიტაციის მოთხოვნებთან.
- **რეკომენდაციები**

პროგრამას „სამედიცინო ფიზიკა“ პირველი აკრედიტაციის შემდეგ დაემატა კურსები: ანატომის და ფიზიოლოგია. პროგრამის სამედიცინო მიმართულების გათვალისწინებით სასურველია ამ კურსების გადაყვანა სავალდებულო საგნებში. ეს ხელს შეუწყობს სტუდენტების კომპეტენციის გაზრდას ამ მიმართულებით, შესაბამისად პოტენციური დამსაქმებელთა რიცხვისა და არეალის გაზრდას.
- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის ოპტიმიზაციის მიზნით შესაძლებელია ზოგიერთ კურსს დაემატოს დაშვების წინაპირობა. პროგრამის სწავლის შედეგების შედგენისა და შეფასების მექანიზმის ჩამოყალიბების დროს, უპირანი იქნება ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინება და განხორციელება პროგრამის შემდგომი შეფასებისას.

პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამაში ჩართული პერსონალი აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კოლაბორაციაში არამხოლოდ გერმანულ მხარესთან, არამედ სხვა ინსტიტუტებთან (საფრანგეთი, იაპონია). სასურველი იქნებოდა, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მოაზრებული კონსორციუმის ჩამოყალიბება

უმოკლეს ხანში. რადგან ეს პროცესი დაწყებულია, ვიმედოვნებთ, რომ საქართველო ჩართული იქნება კიდევ ერთ საერთაშორისო კონსორციუმში.

ბიუჯეტის გაჯერება ხდება მოპოვებული გრანტების საფუძველზე, ამიტომ მიზანშეწონილია, რომ პროგრამის მსმენელები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვა სამეცნიერო ფონდების კონკურსებშიც.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

„სამედიცინო ფიზიკა“ პროგრამის საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს კვლევითი კომპონენტის შედარებით მაღალი წვლილი და პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მაღალი დონე, რაც საშუალებას აძლევს მაგისტრანტებს გაეცნონ დარგში არსებულ მიღწევებს. ასევე აღსანიშნავია სტუდენტების მონაწილეობა საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კონფერენციებში და ღონისძიებებში, განსაკუთრებით ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდის ფარგლებში მიმდინარე პროექტებსა და პროგრამებში.

▪ **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

საგანმანათლებლო პროგრამის „სამედიცინო ფიზიკა“ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ინტერნაციონალიზაციის მაღალი დონე და კურსამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამედიცინო ფიზიკის სპეციალისტებზე მოთხოვნა ბოლო ათწლეულში მკვეთრად გაიზარდა, ეს გაზრდა გამოიწვია დიაგნოსტიკისა და თერაპიის ახალი მეთოდების დანერგვამ საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში, განსაკუთრებით კი ონკოლოგიის მიმართულებით. ახალი დიაგნოსტიკური და თერაპიული აპარატურის (მაგალითად მაგნიტო-რეზონანსული და პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფები, რადიაციული ბრაქი და ტელეტერაპია) ეფექტურად გამოყენება აუცილებლად მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის სამედიცინო ფიზიკოსს, რომელიც კარგად ერკვევა ფიზიკურ პროცესებში, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ აპარატურის მუშაობას. სამედიცინო ფიზიკოსის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა დიაგნოსტიკურ თუ სამკურნალო პროცედურების დაგეგმვა, რასაც ის სამედიცინო პერსონალთან ერთად ახორციელებს.

სამედიცინო ფიზიკოსს ესაჭიროება კარგი ცოდნა და სპეციალობის შესაბამის უნარები, რომელთა მიღება შესაძლებელია საუნივერსიტეტო სწავლების მეორე, სამაგისტრო ეტაპზე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა „სამედიცინო ფიზიკა“, ხორციელდება უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე, კერძოდ კი საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტში, რაც შესაბამის კომპეტენციის და კვალიფიკაციის სპეციალისტის აღზრდის კარგ წინაპირობას წარმოადგენს.

„სამედიცინო ფიზიკის“ პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია. პროგრამა შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიას და ითვალისწინებს როგორც ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს, ასევე ამ მიმართულებით არსებულ საერთაშორისო ტენდენციებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მაღალი დონე, განსაკუთრებით კი იულისის საკვლევი ცენტრის (გერმანია) ნაყოფიერი თანამშრომლობა.

წარმოდგენილი პროგრამა უდავოდ ემსახურება ამ დარგის განვითარებას ქვეყანაში და თავისი წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ინტერვიუს შედეგები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, წარმოდგენილი დოკუმენტები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამედიცინო ფიზიკის“ პროგრამამ პირველი აკრედიტაცია გაიარა 2014 წელს. (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 10 თებერვლის N33 გადაწყვეტილება). შესაბამისად პროგრამის ხელმძღვანელს და აკადემიურ პერსონალს შეუძლია შეაფასოს სწავლის შედეგები და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის კორექტირება მოახდინოს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის ხელმძღვანელს (სკაიპის საშუალებით) და პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს. მათგან მიღებული ინფორმაცია

ადასტურებს თვითშეფასების ანგარიშში მოცემულ ანალიზს. სწავლის შედეგების განსაზღვრისთვის შედგენილი იყო სპეციალური ჯგუფი, რომელშიც პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ერთად შედიოდნენ იულისხის საკვლევი ცენტრის (გერმანია) შესაბამისი ინსტიტუტების წამყვანი თანამშრომლები. პროგრამის სწავლის შედეგებს უზრუნველყოფს როგორც სასწავლო კურსების ერთობლიობა, ასევე პროგრამაში არსებული კვლევითი კომპონენტი და პრაქტიკა. პროგრამა აძლევს კურსდამთავრებულებს ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომელიც საშუალებას იძლევა სამედიცინო ფიზიკისთვის დამახასიათებელი კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ოპტიმალური გზები მოიძებნოს. პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამის დონეზე მიღწევის თვალსაჩინო მაგალითია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი. დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან შეხვედრის დროს აღინიშნა, რომ ამ პროგრამის კურსდამთავრებულზე მაღალი მოთხოვნაა. სწავლის შედეგების შეფასება გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს, რადგან არ აქვს გაზომვითი ხასიათი. ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილია დაიხვეწოს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების და სწავლის შედეგების კავშირის დადგენის კარგ წინაპირობას ქმნის და უფრო დეტალური ანალიზის საშუალებას იძლევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ინტერვიუს შედეგები, პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, წარმოდგენილი დოკუმენტები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მიზანშეწონილია პროგრამის შედეგების შეფასებისა დაეყრდნოს სწავლის შედეგების რუკას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის „სამედიცინო ფიზიკა“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას. სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვებიან ის პირები, რომლებსაც აქვთ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და რომლებიც ჩააბარებენ სამაგისტრო გამოცდებს (საერთო სამაგისტრო გამოცდა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). უნივერსიტეტის სამაგისტრო გამოცდების საკითხები მინიმუმ ერთი თვით ადრე განლაგებულია სწავლების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე. სამაგისტრო პროგრამაზე გამოცდების გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ინტერვიუს შედეგები, თვითშეფასების ანგარიში. რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა „სამედიცინო ფიზიკა“ აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად და მოიცავს 120 ECTS. (1 კრედიტზე სტუ-ში გათვალისწინებულია 25 საათი). პროგრამა გათვლილია 4 სემესტრზე (2 წელი) და მოიცავს სასწავლო (75 ECTS) და კვლევით 45 ECTS) კომპონენტებს. პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო (55 ECTS) და არჩევითი (20 ECTS) კურსებისგან. არჩევით კურსებში გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური კურსები (თვითოელი 10 ECTS), პროგრამის კვლევითი კომპონენტში 30 ECTS გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომის
--

დასრულებაზე და დაცვაზე, 10 ECTS თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევაზე /კოლოქვიუმზე, ხოლო 5 ECTS სამაგისტრო კვლევის პროექტზე/პროსპექტუსზე.

სამედიცინო ფიზიკის სამაგისტრო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად შესაბამისობაშია მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ინტერვიუს შედეგები, პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, წარმოდგენილი დოკუმენტები.

რეკომენდაციები:

„სამედიცინო ფიზიკის“ პროგრამას პირბელი აკრედიტაციის შემდეგ დაემატა კურსები ანატომია და ფიზიოლოგია. მიზანშეწონილია, პროგრამის სამედიცინო მიმართულების გათვალისწინებით, ამ სასწავლო კურსების გავლა სავალდებულო გახდეს. ეს ხელს შეუწყობს სტუდენტების კომპეტენციის გაზრდას ამ მიმართულებით, შესაბამისად პოტენციური დამსაქმებელთა რიცხვისა და არეალის გაზრდას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო კურსები შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის საფეხურს და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. წარმოდგენილი სილაბუსები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას. კრედიტების რაოდენობა წარმოდგენილ კურსებზე შეადგენს 5 ECTS კრედიტს, რაც შეესაბამება 125 სთ-ს. საკონტაქტო საათების რაოდენობა წარმოდგენილ კურსებზე ძირითადად 45 სთ-ს შეადგენს, დამოკიდებული სამუშაოდ სტუდენტების გამოყოფილია 76-78 სთ. დარჩენილი საათები ნაწილდება შუასემესტრულ და დასკვნით გამოცდაზე. საგნის სილაბუსები დაფუძნებულია სფეროს აქტუალურ მიღწევებზე, რაც ასახულია შესაბამის ლიტერატურაში. წარმოდგენილი სილაბუსები უზრუნველყოფენ პროგრამის გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ინტერვიუს შედეგები, წარმოდგენილი სილაბუსები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის ოპტიმიზაციის მიზნით შესაძლებელია ზოგიერთ კურსს დაემატოს დაშვების წინაპირობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ტრანსფერული უნარების განვითარება	და
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.	
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა „სამედიცინო ფიზიკის“ ძირითადი მიზანია ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში მაღალ კვალიფიკაციის სერვისს, კერძოდ კი რთულ და კომპლექსურ აპარატურაზე დიაგნოსტიკური და სამკურნალო პროცედურების მაღალ დონეზე ჩატარებას. ამ ამოცანის მისაღწევად საჭიროა როგორც სათანადო პრაქტიკული, ასევე სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარება. წარმოდგენილი პროგრამაში კვლევით კომპონენტის წილი საკმაოდ მაღალია და შეადენს 37.5%. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ „სამედიცინო ფიზიკის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები რეგულარულად მონაწილეობენ საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში. ამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდის ფარგლებში გამართული სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო ღონისძიება. ეს ღონისძიებები იმართება როგორც საქართველოში, ასევე გერმანიაში, იულისხის საკვლევ ცენტრში. სტუდენტების დიდი ნაწილი სწავლასთან ერთად გადის პრაქტიკას როგორც ქვეყნის წამყვან კლინიკებში („ლივ ჰოსპიტალი“, „მედულა“ და სხვა) ასევე გერმანიაში, კერძოდ კი იულისხის საკვლევ ცენტრის შესაბამისი პროფილის ინსტიტუტებში.	
მტკიცებულებები/ინდიკატორები ინტერვიუები, თვითშეფასების ამგარიში, წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები.	
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები	
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის	
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის	
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
შეფასება	

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„სამედიცინო ფიზიკის“ პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები სტუდენტებზეა ორიენტირებული. პროგრამის კურსების საკონტაქტო საათებში (ძირითადად 45 სთ) აქცენტი გადატანილია სემინარზე, პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ სამუშაოებზე, რომლებსაც, როგორც წესი, ეთმობა საკონტაქტო საათების დიდი ნაწილი (30 სთ). სწავლების შედეგების მისაწევად პროგრამის კურსებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, მაგალითად ზეპირსიტყვიერი (ვერბალური) და წერიტი მუშაობის, ახსნა განმარტებითი და დემონტრირების, ინდუქციის და სხვა. სწავლებაში დიდი როლი ეთმობა პროექტზე და პრეზენტაციაზე მუშაობას. სტუდენტებს საშუალება აქვთ პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომი შეასრულონ, როგორც საქართველოს საკვლევ ინსტიტუტებსა თუ კლინიკებში, ასევე გერმანიაში, კერძოდ იულიხის საკვლევ ცენტრის ინსტიტუტებში (მაგალითად ნეირომედიცინის ინსტიტუტში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ინტერვიუს შედეგები, პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, წარმოდგენილი დოკუმენტები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პროგრამაში მონაწილე სტუდენტების საშუალება აქვთ გაიარონ პრაქტიკა საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში, რაც ხელს უწყობს პროფესიისთვის საჭირო უნარების ადრეულ გამომუშავებას.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„სამედიცინო ფიზიკის“ პროგრამაში სტუდენტების შეფასება ხდება იმ სისტემის მიხედვით, რომელიც მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალის საშუალებით, რომელიც 2 კომპონენტს მოიცავს - შუალედურ შეფასებას (მაქსიმუმ 60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (მაქსიმუმ 40 ქულა). შუალედური შეფასება სხვადასვა ფორმით შეიძლება მოხდეს და ძირითად ორ კომპონენტს ითვალისწინებს - მიმდინარე აქტივობებს (მაქსიმუმ 30 ქულა) და შუასემესტრულ გამოცდას (მაქსიმუმ 30 ქულა). შეფასების სისტემაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. მინიმალური დადებით შეფასება, როგორც წესი კომპონენტზე გამოყოფილი ქულების სულ ცოტა 50% უნდა შეადგენდეს. (მაგალითად დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი ქულაა 20).

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს წევრები გაცესაუბრეთ „სამედიცინო ფიზიკის“ პროგრამის ფარგლებში შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებს. ჯგუფი ასევე გაეცნო რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომს, რომლების ვიზიტის დროს წარმოგვიდგინეს. სამაგისტრო ნაშრომები შესრულებულია მაღალ დონეზე და დარგის აქტუალური პრობლემატიკას ეხება. ნაშრომთა ნაწილი შესრულებულია გერმანიაში, კერძოდ იულიხის საკვლევ ცენტრში. ასეთი ნაშრომებს როგორც წესი ორი თანახელმძღვანელი ჰყავს. თვითშეფასებაში მოცემულია სანაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ.

მიღებული ქულების შესაბამისად სტუდენტის ცოდნა/ნაშრომი რამდენიმე საფეხურით ფასდება: ფრიადი(A): 91-100 ქულა, ძალიან კარგი(B): 81-90 ქულა, კარგი(C): 71-80 ქულა, დამაკმაყოფილებელი(D): 61-70 ქულა, საკმარისი(E) – 51-60 ქულა. სტუდენტებს საშუალება აქვს დამატებითი მუშაობის შემდეგ კიდევ ერთხელ გავიდნენ გამოცდაზე, თუ მათ მიიღეს

41-50 ქულა (FX, ვერ ჩააბარა), ხოლო 40 ქულაზე ნაკლების მიღება (F, ჩაიჭრა) ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან თავიდან უნდა შეისწავლის საგანი. ვიზიტის დროს (შეხვედრები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან) დადასტურდა თვითშეფასებაში მოყვანილი ინფორმაცია, რომ სტუდენტებს საშუალება აქვთ მიიღონ ინფორმაცია ცოდნის შეფასების მექანიზმების შესახებ საგანმანათლებლო პროგრამიდან, პროგრამის ხელმძღვანელისგან და კონკრეტული საგნის პროფესორისგან. პროგრამაში გამოყენებული ცოდნის შეფასების სისტემა ემყარება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში მიღებულ სისტემას. ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ინტერვიუს შედეგები, პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): წამყვანი პროფილური დაწესებულებების ჩართულობა პროგრამაში, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საერთაშორისო დონეზე.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „სამედიცინო ფიზიკა“ არ არის ახალი, იგი განმეორებით გადის აკრედიტაციის პროცესს (10.02.2014 გადაწყვეტილება №33). შესაბამისად, სტუდენტთა მიღწევებისა და მათთან ინდივიდუალური მუშაობის ობიექტურად შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფს გვქონდა შეხვედრები როგორც სტუდენტებთან, ასევე პროგრამის კურსდამთავრებულებთან.

თვითშეფასებისა და ვიზიტის განმავლობაში ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, დაწესებულება აღნიშნული სტანდარტის დაკმაყოფილებას ასაბუთებს იმ აქტივობებით, რომლებიც უნივერსიტეტში ხორციელდება. პროფილის განსაზღვრისას, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად სტუდენტს საჭირო ინფორმაციის მიღება შეუძლია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციისაგან. უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომლითაც სტუდენტს შეუძლია აეცნოს შეფასების შედეგებს, მიიღოს ინფორმაცია სტუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ.

